

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირმა ლომაძე

კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფის  
თავისებურებანი საქართველოში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - შიფრი 0204

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

**ხელმძღვანელი:**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

პროფესორი

/მ. ვანიშვილი/

**რეგენზენტები:**

1.

2.

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-  
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:**

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,

სტუ-ს პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** ეკონომიკის მდგრადი განვითარება წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს საკვანძო პრობლემას. ყოველწლიურად ხდება ასეულობით კომერციული ბანკების გაკოტრება არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებში. ფინანსური გლობალიზაცია შლის კაპიტალის გადანაცვლების საზღვრებს; ეროვნული საბანკო სისტემები განიცდიან გლობალურ ეკონომიკურ ზემოქმედებებს. ამასთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია მდგრადი საბანკო სისტემის ფორმირება, რომელიც შეძლებს წინ აღუდგეს ნეგატიურ გარე ზემოქმედების ფაქტორებს, შიდა წყაროების ფორმირების გაზრდას, ეფექტურად შეასრულებს წარმოებებისა და მოსახლეობის დაკრედიტებას. ფინანსურ მდგრადობაზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზი და მდგრადობის პრინციპების დაცვა წარმოადგენს მაღალეფექტური ეროვნული საბანკო სისტემის საფუძვლებს.

დღემდე, საქართველოს საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველი სფეროდ რჩება. ყოველწლიურად იზრდება უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილი, იხსნება უცხოური ბანკების ფილიალები, იზრდება საბანკო კონკურენცია, რაც ბანკებში კორპორატიული მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის აუცილებლობას წარმოშობს.

ბანკების ფინანსურ მდგრადობაზე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა, მისი მდგრადობა.

კორპორატიული მართვის დახვეწის კუთხით წამყვანი აქცენტები რისკების მართვის თანამედროვე მოდელების დანერგვაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბანკების უნარი - რათა მთლიანად დააზღვიონ საბაზრო რისკები - ძალზე შეზღუდულია, თუ საერთოდ შეუძლებელი არ არის. ეს განსაკუთრებით გარე ფაქტორების შედეგად წარმოქმნილ რისკებს ანუ ექსტრა ხასიათის რისკებს ეხებათ, საერთაშორისო საფინანსო ბაზრების გაზრდილი რისკების გამო. ეს თანაბრად ეხება როგორც სავალუტო, ასევე საფონდო ბაზრებს. შემთხვევითი არც ის გარემოებაა, რომ ბანკებში სულ

უფრო იზრდება რისკების მართვის დეპარტამენტის ფუნქციები, ხოლო რიგი ქართული ბანკების მიერ სულ უფრო აქტიურად განიხილება რისკების მართვის წამყვანი სპეციალისტების მოწვევა სხვა ქვეყნებიდან.

გაზრდილი საბაზრო ორიენტაცია ბანკებისაგან მოითხოვს ბიზნესის და განსაკუთრებით კორპორატიული მართვის ახალი მეთოდების დანერგვას. ეს საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული კორპორატიული მართვის ისეთი მატრიცის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის მდგრად განვითარებას როგორც ორგანიზაციული მდგრადობის, ასევე ფინანსური, კომერციული თუ კაპიტალური მდგრადობის თვალსაზრისით.

თემა განსაკუთრებით აქტუალურობას იმენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებასა და საქართველოს საბანკო სისტემაში „ბაზელ -III“ ნორმების დანერგვასთან დაკავშირებით.

თემის აქტუალობამ, ქვეყნისთვის მისმა სამეცნიერო და პრაქტიკულმა მნიშვნელობამ, ასევე არასათანადო მეცნიერულმა დამუშავებულობამ და სადისკუსიო ხასიათმა განსაზღვრა კვლევის მიზანი და ამოცანები.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფის თავისებურებების გამოვლენა საქართველოში.

დასმული მიზნის მიღწევამ მოითხოვა გამოკვლევის ლოგიკისა და სტრუქტურის განმსაზღვრელი შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ფინანსური მდგრადობის თეორიული საფუძვლების დამუშავება და ცნებითი აპარატის დაზუსტება;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების ინდიკატორების შესწავლა;
- ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორების, და მათი ფორმირების თავისებურებების განხილვა საქართველოში;
- ფინანსური მდგრადობის შეფასების უცხოური გამოცდილების გაანალიზება და განზოგადება;
- ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** *კვლევის ობიექტად*, კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოდის კომერციული ბანკები. *კვლევის საგანია* კომერციული ბანკების მართვის სრულყოფის თავისებურებანი საქართველოში.

**კვლევის მეთოდოლოგია** ემყარება ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს, სისტემურ მიდგომას, შედარებით ანალიზს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის ხერხებს. ნაშრომში გამოყენებულია დაჯგუფების, შეფასებისა და ანალოგიის მეთოდები.

**კვლევის თეორიულ საფუძველს** შეადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის საკითხებზე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ეკონომიკური ინსტიტუტების ანალიტიკური ანგარიშები, საბანკო კონკურენციის რეგულირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები.

**კვლევის ემპირიული ბაზა** საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ წყაროებს: საერთაშორისო ორგანიზაციების მასალები; საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები; უცხოელი და ქართველი ავტორების მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მონაცემები; დისერტანტის მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე** მდგომარეობს საქართველოში კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თავისებურებების გამოვლენასა და სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში.

მეცნიერული სიახლის კონკრეტული ელემენტები მდგომარეობს შემდეგში:

- ❖ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა შესწავლისა და კრიტიკული შეფასების გზით *წარმოდგენილია* კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის ავტორისეული განმარტება, რომლის თანახმად, ბანკის ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში, კერძოდ, ფინანსური რესურსების ისეთ მდგომარეობას, როცა კომერციულ ბანკს, საკუთარი სახსრების ეფექტიანი გამოყენებით, შეუძლია უზრუნველყოს თავისი ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი განხორციელება;
- ❖ *დაზუსტებულია* ფინანსური მდგრადობის სახეები და პრინციპები, შეფასების მეთოდები და ხერხები, მასზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების შესწავლის საფუძველზე დადგენილია ე.წ. „ჩრდილოვანი ბანკინგის“ პრობლემური ხასიათი და მასთან ბრძოლის გზები;
- ❖ *სისტემატიზებულია* ფინანსური მდგრადობის ის ინდიკატორები და ინსტრუმენტები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება ფარულად დესტაბილიზირებადი პროცესების გამოვლენა და მათი გადალახვის გზების დადგენა;
- ❖ ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასების უცხოური გამოცდილების შესაწავლით *დადგენილია* რომ, აღნიშნული შეფასების სისტემა განვითარებული ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცდილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რამაც ცხადყო მისი ეფექტურობა და, შესაბამისად, პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ სისტემის ელემენტების საქართველოში დანერგვა, ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების პრაქტიკის განვითარებას.
- ❖ *დასაბუთებულია* კომერციული ბანკის რესურსული ბაზის სტრუქტურის ოპტიმიზაციის აუცილებლობა და *შემუშავებულია* დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების წინადადებები;
- ❖ *არგუმენტირებულია* დასკვნა სტრეს-ტესტების პარადიგმის გამოყენებით კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თაო-

ბაზე, რომელიც იძლევა ფინანსური მდგრადობის რისკების პრევენციისა და პროფილაქტიკის ახალ შესაძლებლობებს;

- ❖ *შემუშავებულია* ანტიკრიზისული მართვის ღონისძიებათა სისტემა და განსაზღვრულია მისი ადგილი კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის ფაქტორთა სისტემაში.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ ავტორის მიერ ფორმულირებული დებულებები, დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოში საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობას, ფინანსური მდგრადობის ხელშემწყობი გარემოების შესწავლით გამოვლენილი და შემუშავებული მეთოდოლოგიის დანერგვით.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული შედეგები, განზოგადებები და დასკვნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კომერციული ბანკების ფინანსური საქმიანობის ზედამხედველობის ამაღლების ღონისძიებებში და დღეისთვის არსებული ნორმატიული ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელიც მიმართული იქნება კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების წესების სრულყოფაზე.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა** განპირობებულია განსახილველი საკითხების ხასიათით, კვლევის ამოცანებითა და მეთოდებით. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 169 გვერდს; შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ტექსტისა (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, სამთავად წარმოდგენილი შედეგების განსჯა და დასკვნა) და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი და ამოცანები, ობიექტი და საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა, მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, აპრობაცია და პუბლიკაცია, მოცულობა და სტრუქტურა.

**ლიტერატურის მიმოხილვაში** დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ: საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წინამდებარე ნაშრომში.

**შედეგები და მათი განსჯა** წარმოდგენილია სამ თავად (ცხრა პარაგრაფით).

**პირველ თავში შესწავლილია** კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ნათქვამია, რომ კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა, პირველ რიგში, არის მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობა გრძელვადიან პერსპექტივაში, კერძოდ, ფინანსური რესურსების მდგომარეობა, როცა კომერციულ ბანკს საკუთარი სახსრების ეფექტური გამოყენების მეშვეობით შეუძლია უზრუნველყოს თავისი ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი პროცესი.


კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს კომპლექსურ მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ბანკის საიმედოობის მაჩვენებელს გარე ზეგავლენების მიმართ. ის მოიცავს ბანკის, როგორც საბანკო სისტემის ელემენტის მდგომარეობის შემდეგი მაჩვენებლების შეფასებას: კაპიტალის სტრუქტურა და მისი საკმარისობა რისკების დასაფარავად, ბალანსის ლიკვიდობის დონე, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, რისკების მართვის პოლიტიკა, რისკ-მენეჯმენტის ორგანიზების ხარისხის კონტროლი.

საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა ინტერესების დაცვას,



ასევე კლიენტებისა და მეანაზრეების, მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ქვეყნის საბანკო სისტემის საქმიანობის სტაბილიზაციასა და განმტკიცებას.

ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასებით დაინტერესებულია მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მხარე: აქციონერები, მენეჯმენტი, მომხმარებლები/კლიენტები, ბანკი-კონტრაგენტ(ებ)ი, საინვესტიციო საზოგადოება, მარეგულირებელი ორგანოები და სახელმწიფო (ნახაზი 1).



ნახაზი 1. ბანკის შიდა და გარე დაინტერესებული პირები

ხაზგასმულია, რომ საბანკო სექტორში დღეისათვის მიმდინარე პროცესები გვარწმუნებენ, რომ აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს და სრულყოფილი გახდეს ბანკების საქმიანობისა და მათი ფინანსური მდგრადობის შეფასების სისტემა. მონიტორინგის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოქმედი ბანკებიდან ყველაზე პრობლემურის რაც შეიძლება სწრაფად გამოვლენა. ამასთან, ფინანსური სისტემის სწრაფმა განვითარებამ ცხადყო, რომ ფინანსური მდგრადობის შეფასების არსებული მიდგომები და მეთოდები უკვე მოძველდა. ამდენად, თანამედროვე პერიოდი არის აქტუალური, ფინანსური მდგრადობის ფორმირების ახალი მიდგომების განვითარებისთვის როგორც მთელი საბანკო სისტემის, ისე ცალკეული ბანკებისათვის.

ავტორის მოსაზრებით, კომერციული ბანკის საიმედოობის განსაზღვრაში აუცილებელია ამოვიდეთ მისი მდგრადობის ხარისხობრივი შეფასებიდან, კონკრეტული სუბიექტთა ინტერესების რეალიზაციის გათვალისწინებით. კომერციული ბანკის ფინანსების მართვის სისტემა გამიზნულია მისი ფინანსური მდგრადობის მიღწევაზე, რომელიც შესაძლოა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით:

(1) კაპიტალის საკმარისობა - აფასებს ბანკის კაპიტალის სიდიდეს მისი საკმარისობის თვალსაზრისით, მეანაბრეთა ინტერესების დასაცავად და მისი ფინანსური აქტივების შესანარჩუნებლად;

(2) აქტივების ხარისხი - აფასებს აქტივების დაბრუნების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ასევე პრობლემური კრედიტების გავლენას ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე;

(3) რენტეხელურობა (შემოსავლიანობა) - აფასებს ბანკის საქმიანობას მისი შემოსავლების საკმარისობის თვალსაზრისით, საბანკო საქმიანობის გაფართოების პერსპექტივებისათვის;

(4) მენეჯმენტი (მართვა) - საბანკო დაწესებულების მართვის მეთოდების შეფასება მისი საქმიანობის ეფექტიანობის გათვალისწინებით;

(5) ლიკვიდობა - განსაზღვრავს ლიკვიდობის დონეს ვალდებულებების შესასრულებლად მისი საკმარისობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაფასებლად ხშირად იყენებენ კოეფიციენტების კომპლექსს. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორად იქნას შერჩეული ფინანსური მდგრადობის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი კოეფიციენტები. მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ინდიკატორების ის სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას:

- ზუსტ და სრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ადეკვატურად და სრულად შეფასდეს ბანკის რესურსების განთავსების პოლიტიკა, უკუგება და ა.შ.;
- დადგინდეს გრძელვადიანი მონიტორინგის საჭიროება, ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი ყველა პარამეტრი და ფაქტორი;

- დასაბუთდეს კომპლექსური ანალიზის საჭიროება და ფინანსური მდგრადობის დაგეგმვა ვარიაციული ქსელების გამოყენებით;
- გამოვლინდეს ინფორმაციის არასაკმარისობა და საბანკო გარემოს მთლიანობაში შესწავლის აუცილებლობა.

კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასების განხილული ინდიკატორების (კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების) საფუძველზე დასაბუთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ ფინანსური მდგრადობა საკრედიტო დაწესებულებებში არის საერთო მდგრადობის ერთ-ერთი კომპონენტი, და ასევე – სისტემაშემქმნელი ელემენტი. ამის გათვალისწინებით, საკრედიტო დაწესებულების უნარი განახორციელოს ხარისხობრივი მდგომარეობა (ფინანსური მდგრადობა და სტაბილურობა) შესაძლებელია გარე ფაქტორების, შიდა ფაქტორებისა და თანმდევი მაჩვენებლების გავლენის ანალიზის საფუძველზე. როგორც არ უნდა იყოს განხორციელებული შეფასება, პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზემოქმედი ფაქტორებისა და ინდიკატორების მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს.

აღნიშნულია, რომ საბანკო სისტემის და ცალკეული საბანკო ორგანიზაციების საქმიანობის პირველადი პრობლემების დროული გამოვლენა განხილული ინდიკატორების (კრიტერიუმებისა და ფაქტორების) საფუძველზე ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის მდგრად განვითარებას. ხაზგასმულია, რომ შეფასების შერჩეული ინდიკატორები - კრიტერიუმები და ფაქტორები – უნდა იცვლებოდეს ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული გარემოს სტაბილური, არასტაბილური, წინასაკრიზისო და კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით.

განხილულია კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორები და მათი ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობა არის მისი საქმიანობის შემაჯამებელი მაჩვენებელი. ამ პარამეტრის ზომა არ არის მუდმივი, მასზე მოქმედი ფაქტორების მუდმივად ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე.

ნარე. ბანკის ფინანსური მდგრადობის ფინანსური მაჩვენებლების ფორმირება და ხარისხიანი მართვა მეტწილად დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და აქვთ მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე. თითოეულ ფაქტორს აქვს ვარიანტულობის, მობილურობისა და საბანკო დაწესებულების მიმდინარე ცვლილებებზე გავლენის საკუთარი დონე, შესაბამისად სხვადასხვა ხარისხის გავლენა ბანკის საქმიანობაზე.

ხაზგასმულია, რომ საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედებს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური ფაქტორები. მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია – ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის წარმართვა, არასრულყოფილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, სუსტი საბაზრო დისციპლინა, სუსტი საბანკო ზედამხედველობა და კონტროლი; მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან – დაკრედიტების ბუმი, კაპიტალთან ოპერაციების ანგარიშის ლიბერალიზაცია, პორტფელური ინვესტიციების დიდი ნაკადით შემოდინება, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე, ეკონომიკის მონეტიზაციის მაღალი დონე, ლიკვიდურობის არასაკმარისი დონე, შემოსავლებისა და მომსახურების დონის ვარდნა, დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრების კონიუქტურზე და მსოფლიო ფინანსური კრიზისი.

კომერციული ბანკების საქმიანობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლით გამოვლენილია, რომ ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს მრავალი ქვეყნის საფინანსო სექტორის სერიოზულ პრობლემას. ნათქვამია, რომ დღემდე ჩვენს ქვეყანაში ჩრდილოვანი საბანკო სექტორის სისტემური კვლევები არ ჩატარებულა. ანუ, ამ ეტაპისთვის მხოლოდ მიახლოებითაა შესაძლებელია საქართველოს ჩრდილოვანი საბანკო სისტემის მოცულობის დადგენა.

არგუმენტირებულია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის – საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნ-

ველყოფის მიზნით, მის მიერ სისტემატიურად უნდა იქნას განხორციელებული ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სისტემური რისკების კვლევა და მათი ასახვა ფინანსური სტაბილურობის ყოველწლიურ ანგარიშში.

გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ კომერციული ბანკებისა და საბანკო სექტორის მდგრადობის დონე დამოკიდებულია ეკონომიკური და ბაზრის განვითარების დონეზე, ფულადი ნაკადების მდგომარეობაზე, შრომის საერთაშორისო დანაწილების განსაკუთრებულობებზე, სამრეწველო და სამომხმარებლო მოთხოვნების განვითარების მიმართულებებზე. თითოეულ ფაქტორს აქვს საკუთარი ცვალებადობის დონე, მობილურობა და გავლენა საკრედიტო დაწესებულების მიმდინარე ცვლილებებზე, რომელიც სხვადასხვა ხარისხით ახდენს გავლენას ბანკის საქმიანობაზე.

კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი პირობებისა და ფაქტორების განხილვა საზღვარგარეთის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, არა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კავშირში, იმისათვის რომ მივიღოთ უფრო სრული და ხარისხიანი სურათი მოცემულ ქვეყანაში საბანკო სისტემის ფინანსურ სტაბილურობასა და მდგრადობაზე.

**მეორე თავში** განხილულია კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის ორგანიზაციული საფუძველები, სადაც შესწავლილია კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასების უცხოური გამოცდილება, რომლის ძირითადი მიდგომები ეფუძნება სტანდარტული ინდიკატორებისა და დადგენილი ლიმიტების მნიშვნელობის შესწავლას, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის სფეროში ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ მიდგომებს. ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოცდილებამ, ცხადყო მათი გამოყენების ეფექტურობა ფინანსური ინსტიტუტების ობიექტური შეფასების მომზადებაში.

პრაქტიკაში, უცხო ქვეყნების საზედამხედველო ორგანოების მიერ კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასებას აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რადგან ის ემსახურება სახელმწიფო პასუხისმგებლობის ღონისძიებას (სამეთვალყურეო ორგანოების სახით) საზოგადოების მიმართ, საბანკო სისტემისა და ბანკების მიმართ საზოგადოებრივ ნდობის ხარისხს.


ამავე თავში განხილულია კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასებისადმი მიდგომები. კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კაპიტალის ადეკვატურობა. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს საფუძველს მის საქმიანობაში და მნიშვნელოვანი წყაროა რესურსების ბაზაში. მისი მიზანია, შეინარჩუნოს კლიენტების ნდობა ბანკისადმი და დაარწმუნოს კრედიტორები მის ფინანსურ მდგრადობაში.

ბანკის კაპიტალი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მსესხებლებს ჩამოუყალიბდეთ ნდობა, რომ ბანკის შეუძლია ნებისმიერ დროს დააკმაყოფილოს მათი საკრედიტო საჭიროებები, მათ შორის განვითარებულ არასახარბიელო ეკონომიკურ პირობებშიც. თავის მხრივ, მენაბრეებისა და კრედიტორების ნდობას ბანკების მიმართ მოაქვს, სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა მთელი საბანკო სისტემისთვის.

შეფასებულია დღეს მოქმედი მინიმალური კაპიტალის სტანდარტების ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული სისტემა. არსებული სტანდარტი განსაზღვრავს პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების და საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის მინიმალურ მოთხოვნებს. კაპიტალის ადეკვატურობის საერთაშორისოდ აღიარებული კოეფიციენტი გამოითვლება ბანკის აქტივების იმ ნაწილით, რომელიც მოქცეულია გარკვეული რისკის ქვეშ:

$$\text{კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{პირველად კაპიტალს + მეორადი კაპიტალი}}{\text{რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები}}$$

კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები ეფუძნება სამ „პილარს“, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისოდ აღიარებული „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოში (ნახაზი 2).



**ნახაზი 2. შემოთავაზებული ბაზელ III –ის მიერ 2013 წლიდან**

„ბაზელ III“-ის რეგულაციების მიღება განპირობებული იყო 2008 წლის ფინანსური კრიზისით და გულისხმობს „ბაზელ II“-ის მიდგომების გამკაცრებას, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის ზრდას, ლევერიჯისა და ლიკვიდობის კოეფიციენტების განსაზღვრას, ზოგადად ბანკების „იმუნიტეტის“ ამალღებას შესაძლო კრიზისების მიმართ.


კაპიტალის საკმარისობის საჭირო დონეზე კონტროლი (ისევე როგორც ბანკების საკუთარი სახსრების აბსოლუტურ ოდენობაზე), წარმოადგენს საბანკო რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, და ამიტომ მიზანშეწონილია იგი შევინარჩუნოთ, პარალელურად კი, გავაძლიეროთ კონტროლი მის რეალურ შესრულებაზე.

ბანკების აქტივების მართვისა და სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია კომერციული ბანკების აქტიური ოპერაციები – საკუთარი და მოზიდული სახსრების განთავსება შემოსავლის მიღების მიზნით. კომერციული ბანკის აქტივების ხარისხიანი მართვა რთული და მრავალსპექტრიანი პროცესია. მისი ამოცანაა მაქსიმალური მომგებიანობის გამოვლენა, ლიკვიდობისა და რისკიანობის დასაშვები დონის დაცვით. ამ

ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ აქტივების სტრუქტურის მიზანშეწონილობის, რაციონალურობის, დივერსიფიცირების, რისკის, შემოსავლიანობის, ლიკვიდობის ანალიზისა და აქტივების შესაბამისი სტრუქტურების მიზანდასახული მოქმედების საფუძველზე. ხაზგასმულია, რომ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის სწორად ორგანიზებული პროცესი ბანკს აძლევს საშუალებას მიაღწიოს თანმიმდევრულ და სტაბილურ ზრდას.

**მესამე თავში** განსაზღვრულია კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მართვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმულია, რომ კომერციული ბანკის რესურსული ბაზის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებისას უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი მიზნები, მათი მიღწევის გზები, განვითარდეს სტრატეგია და ტაქტიკა, რათა უზრუნველყოს ბანკი ახალი რესურსებით (**ნახაზი 3**).




**ნახაზი 3. რესურსული ბაზის ფორმირება**

ავტორისეული მოსაზრებით, ახალი მიზნები ქმნიან გარემოებას ახალი სტრატეგიის შემუშავებისთვის, ხოლო ტაქტიკა განსაზღვრავს მეთოდებსა და ტექნიკას მიმართულს კონკრეტულ სიტუაციაში საუკეთესო მეთოდებით გადაწყვეტილებების მისაღებად.

კომერციული ბანკების რესურსებით უზრუნველყოფის მოდელირების პროცესის ძირითადი კომპონენტებია: მოდელირების კონცეპტუალური



საფუძვლები; მოდელირების ფორმირების ეტაპები; მოდელის ელემენტები; მოდელის ზოგადი სქემა; ანალიტიკური მხარდაჭერა; მოდელის აპრობაცია საბანკო პრაქტიკაში (ნახაზი 4).



**ნახაზი 4. რესურსული ბაზის სტრატეგია**

საქართველოს საბანკო სისტემის რესურსული ბაზის სტრუქტურის ანალიზით გამოვლინდა შემდეგი ეროვნული თავისებურებანი: საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობა და მისი დაბალი ხვედრითი წილი აქტივებში; მოკლევადიანი პასივების სიჭარბე, რაც ზღუდავს გრძელვადიანი ინვესტიციების შესაძლებლობას; სწრაფი დეპოზიტების დაბალი წილი პასივებში და საწარმოების/ორგანიზაციების ნაშთების მაღალი წილი, აქტივებისა და პასივების სტრუქტურების დაუმთხვევლობა, და ასევე აქტივების ლიკვიდობის პრობლემის სიმწვავე. აღნიშნული, უპირატესად, გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში დეპოზიტების სადაზღვევო სისტემის არ არსებობით.

ამასთან დაკავშირებით, გატარებულია აზრი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ. ნათქვამია, რომ საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისათვის მსოფლიოში არსებული გამოცდილების გაზიარება, ჩვენი ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, მინიმუმამდე დაიყვანს ბანკთა გაკოტრების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

პოსტკრიზისულ პერიოდში საბანკო რისკების მართვა მრავალი საბანკო დაწესებულების უპირველეს ამოცანად იქცა. კრიზისის დროს, ეფექტური საბანკო ზედამხედველობის განხორციელება და რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამასთან, ყოვლისმომცველი გარე ფაქტორების ზემოქმედებით, სულ უფრო მეტად წარმოიქმნება საბანკო რისკების შეფასების ახალი ინსტრუმენტების გამოყენების აუცილებლობა. ბოლო წლების განმავლობაში ფინანსური რისკების მენეჯმენტის განუყოფელ ნაწილს, განსაკუთრებით ბანკებისათვის, წარმოადგენს სტრეს-ტესტირება, როგორც რისკების შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი

ამავე თავში წარმოდგენილია ანტიკრიზისული მართვის ანალიზი, როგორც კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის განმტკიცების ფაქტორი. ანტიკრიზისული მართვა არბილებს საბანკო რისკებს და ხელს უშლის ფინანსური კრიზისების წარმოქმნას, რაც ხელს უწყობს საბანკო ბიზნესის წარმატებულ განვითარებას და უზრუნველყოფს მის კონკურენტულ უპირატესობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

კრიზის-მენეჯმენტის ორგანიზებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კრიზისის დიაგნოსტიკას. კრიზისული სიტუაციების და გაკოტრების მდგომარეობის დიაგნოსტიკის ძირითადი ამოცანებია: ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მომავალი პერიოდის პროგნოზი; იმ მიზეზებისა და ძირითადი ფაქტორების დროული აღმოჩენა, რომლებიც ხელს უწყობენ კრიზისულ სიტუაციებს; შიდა და გარე გარემოს მონიტორინგი და მისი განვითარების პროგნოზი.

კრიზისების რეგულირების პოლიტიკა, რომელიც ეუძნება ძლიერ საბაზრო დისციპლინას და კარგ კონტროლს ბანკებზე, შეამცირებს ამ რისკებს და ხელს შეუწყობს პრობლემების ინდენტიცირებას საბანკო სისტემაში.

მიკროდონეზე, ანუ კომერციული ბანკების დონეზე, მაკრო პირობებთან ერთად, გამოიყენება რისკების მართვის შიდა მექანიზმები, რომლებსაც მიეკუთვნება რისკების შეფასებისა და მართვის (ლიმიტირება, ჰეჯირება, შიდა კონტროლი და სხვ.) მეთოდების შიდასაბანკო მოდელები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბაზელი-II ეყრდნობა ორ დებულებას: პირველის თანახმად, აუცილებელია გარკვეული პირობების დაცვა რისკების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, რისი დანერგვის მცდელობები აქვს დღეს ეროვნულ ბანკს. მეორე კი ითვალისწინებს გარკვეულ სარეკომენდაციო ნორმატივებს, რომლებსაც მარეგულირებელი ორგანოები თავისი შეხედულებისამებრ უწყებენ ბანკებს.

სულ სხვა მდგომარეობაა შექმნილი ბაზელი-III-ის შეთანხმებაში. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ რეკომენდაციებს ჩაენაცვლა სავალდებულო ნორმატივები. ამ უკანასკნელის გამოყენება ეროვნულ ბანკს დაეხმარება არა მხოლოდ საბანკო კრიზისის შედეგების საბოლოო დაძლევაში, არამედ ასევე კომერციულ ბანკებს მისცემს სტიმულს მათი საქმიანობის წარმატებულად წარმართვისათვის.

დაბოლოს, კრიზისის პერიოდში აქტივების რისკი მატულობს, შემოსავალი მცირდება, მცირდება სავალდებულო კაპიტალის ნორმატივები. ნორმატივის დაცემის აღკვეთის მიზნით, საჭიროა საკუთარი სახსრების გაზრდა, რის ხარჯზეც დაიფარება სავარაუდო დანაკარგები. უნდა ხდებოდეს პირველი დონის კაპიტალის გაზრდა, რომელიც უფრო საიმედოა და სტაბლური. კაპიტალის გაზრდა ეხმარება ბანკებს საკუთარი ძალებით გაუმკლავდნენ კრიზისს და ტვირთად არ დააწვენ სახელმწიფოს. შესაბამისად, საბანკო სექტორში მიმდინარე მდგომარეობის მონიტორინგი, პოტენციური რისკების ანალიზი, ცენტრალური ბანკის მიერ რიგი ინსტრუმენტების შემუშავება და განხორციელება გაამლიერებს საბანკო მდგრადობას და შეამცირებს კრიზისის მიერ გამოწვეულ რისკებს.

## ზოგადი დასკვნები

სადისერტაციო გამოკვლევის ძირითად დებულებათა განზოგადების საფუძველზე ყალიბდება შემდეგი ზოგადი დასკვნები:

1. სათანადო კვლევებით დადგენილია, რომ კომერციული ბანკის მდგრადობის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფინანსური მდგრადობა, რომლის უზრუნველყოფა გახდა ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა კომერციული ბანკების საქმიანობაში. ძირითადად, შეფასების შედეგი დამოკიდებულია გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე და შერჩეული ინდიკატორების სისტემაზე. საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა გულისხმობს როგორც ამა თუ იმ ბანკის მესაკუთრეთა, ასევე კლიენტებისა და მენაბრეების, მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილიზაციასა და განმტკიცებას.

2. საფინანსო-ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ბანკის ფინანსური მდგრადობის ავტორისეული განმარტება, რომლის თანახმად, კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა წარმოადგენს მისი ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში, კერძოდ, ფინანსური რესურსების ისეთ მდგომარეობას, როცა კომერციულ ბანკს საკუთარი სახსრების ეფექტიანი გამოყენებით შეუძლია უზრუნველყოს თავისი ეკონომიკური საქმიანობის უწყვეტი განხორციელება. უფრო კონკრეტულად, კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა არის მისი უნარი ფულადი საშუალებებით უზრუნველყოს ფუნქციონალური საბანკო ოპერაციები, ფინანსური მაჩვენებლების სტაბილური ზრდის პირობებში; შეასრულოს თავისი ვალდებულებები კლიენტების წინაშე, შიდა და გარე ფაქტორების გავლენისაგან დამოუკიდებლად.

3. დაზუსტებულია საბანკო სისტემის მდგრადობის ფორმირების სპეციფიკური და საერთო ტიპის პრინციპები. სპეციფიკური პრინციპების ჯგუფი განსაზღვრავს საბანკო სისტემის, როგორც საბაზრო სისტემის ცალკეუ-

ლი რგოლის, სპეციფიკას, ხოლო საერთო ტიპის პრინციპების ჯგუფი განსაზღვრავს საბანკო სისტემის ხარისხობრივ მახასიათებლებს. მათ მიეკუთვნება: (ა) კერძო ინვესტორების დაცვის პრინციპი; (ბ) საკანონმდებლო ბაზის ადეკვატურობისა და საკმარისობის პრინციპი; (გ) საბანკო ინფრასტრუქტურის ქონის პრინციპი; (დ) სისტემურობის; (ე) ეროვნული საბანკო სისტემის სამეურნეო საერთაშორისო კავშირებში ოპტიმალური ინტეგრაციის პრინციპი; (ვ) საბანკო სისტემის საქმიანობის მრავალმხრივი კონტროლის პრინციპი.

4. ფინანსური გლობალიზაციის და ეროვნული საბანკო სისტემის მსოფლიო ფინანსურ სისტემაში ინტეგრირების პირობებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა საბანკო სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხმა. პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ფინანსური მდგრადობისა და საბანკო სისტემის უსაფრთხოების შეფასებისას გამოიყენება მრავალი მეთოდიკა, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისგან განსხვავებული მაჩვენებლების (ინდიკატორების) მიხედვით, რომლებიც გვთავაზობენ, ფინანსური და სხვა მდგრადობის აგრეგირებულ მაჩვენებელს. საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად სპეციალისტებს მოჰყავთ ორი მნიშვნელოვანი ინდიკატორი: პირველი – ეს არის კომერციული ბანკების ჯამური ხარჯების (სესხებზე დანაკარგების რეზერვების გამოკლებით) თანაფარდობა მთლიან შემოსავლებთან, ხოლო მეორე კი – წმინდა საპროცენტო მარჟა. ცხადია, რომ მაჩვენებლების აგრეგირების და შერჩევის მეთოდური ბაზა საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და განვითარებას.

5. ავტორი მხარს უჭერს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, საბანკო სისტემის მდგრადობის მახასიათებელი ინდიკატორების შერჩევა უნდა მოხდეს მდგრადობის კატეგორიის ეკონომიკური შინაარსიდან, საბანკო სისტემის მიერ შესრულებული ფუნქციებიდან, და ასევე მოცემული საკითხის მიმართ საბანკო ზედამხედველობის ორგანოების პოზიციებიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით, საბანკო სისტემის მდგრადობის შესაფასებლად აუცილებლადაა მიჩნეული შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

საბანკო სისტემის აქტივების თანაფარდობა მშპ-სთან; დაფარვის კოეფიციენტი; საბანკო სისტემის კაპიტალის საკმარისობა; საკრედიტო პორტფელის წილი საბანკო სისტემის აქტივებში; ვადაგადაცილებული დავალიანების წილი საკრედიტო პორტფელში; საბანკო სისტემის აქტივების რენტაბელობა.

6. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მრავალჯერადი კვლევების შედეგების საფუძველზე და მხარდაჭერით, წევრი ქვეყნების, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ, 2004 წელს შემუშავებული და დამტკიცებული ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები იყოფა ორ ჯგუფად: ძირითადი და რეკომენდებული. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფინანსური სტაბილურობის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება ყველა ქვეყანისათვისა სავალდებულო, ხოლო რეკომენდებული მაჩვენებლები შეიძლება იყოს გამოყენებული საჭიროებისამებრ - ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფოში, თავისებურებებიდან გამომდინარე.

7. საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგისათვის, ბანკების მიერ შემუშავებულ იქნა ინდიკატორები, რომელიც ეფუძნება ფართოდ ცნობილ „CAMEL“-ის პრინციპებს. შეფასების ამ მოდელს იყენებს მრავალი ბანკი მსოფლიოში. CAMEL-ის მეთოდოლოგია წარმოადგენს ინდიკატორების მაჩვენებელს, რომელიც ბანკების ფინანსური სტაბილურობის შეფასებისას იყენებს 5 ძირითად კომპონენტს: კაპიტალის ადეკვატურობა, აქტივების ხარისხი, მართვის (მენეჯმენტის) დონე, მოგება-შემოსავლიანობა, ლიკვიდობა.

8. დასაბუთებულია დასკვნა იმის თაობაზე, რომ საბანკო სისტემის და ცალკეული საბანკო ორგანიზაციების საქმიანობის პირველადი პრობლემების დროული გამოვლენა განხილული ინდიკატორების - კრიტერიუმებისა და ფაქტორების საფუძველზე ხელს შეუწყობს საბანკო სისტემის მდგრად განვითარებას. ამავე დროს, ჩვენი აზრით, შეფასების შერჩეული ინდიკატორების - კრიტერიუმები და ფაქტორები უნდა იცვლებოდეს ეკო-

ნომიკური, ინფრასტრუქტურული გარემოს სტაბილური, არასტაბილური, წინასაკრიზისო და კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით.

**9.** ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე მხარდაჭერილია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვაზე მოქმედი ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად: გარე გარემოს ფაქტორებად და შიდა გარემოს ფაქტორებად. ამასთან, ორივე მათგანი კლასიფიცირებულია სამ-სამ ქვეჯგუფად. კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა გარემოს ეკონომიკური ფაქტორები: მენეჯმენტის კვალიფიკაცია; საბანკო კაპიტალის სიდიდე; საბაზრო სტრატეგია, აქტივების ლიკვიდობა; ბანკებს შორის ნდობის ხარისხი; აქტივებისა და პასივების დაბალანსებულობა ვადების მიხედვით.

**10.** კომერციული ბანკების საქმიანობის სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილებისა და ფინანსურ მდგრადობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლით გამოვლინდა, რომ ჩრდილოვანი საბანკო სისტემა წარმოადგენს მრავალი ქვეყნის საფინანსო სექტორის სერიოზულ პრობლემას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის – საფინანსო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მის მიერ სისტემატიურად უნდა იქნას განხორციელებული ჩრდილოვანი საბანკო სისტემის სისტემური რისკების კვლევა და მათი ასახვა ფინანსური სტაბილურობის ყოველწლიურ ანგარიშში.

**11.** კვლევით დადგინდა, რომ საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობაზე უარყოფითად მოქმედებს როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური ფაქტორები. მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია – ბანკების მიერ არაპროფილური ბიზნესის წარმართვა, არასრულყოფილი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, სუსტი საბაზრო დისციპლინა, სუსტი საბანკო ზედამხედველობა და კონტროლი. მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან კი ხაზგასასმელია – დაკრედიტების ბუმი, კაპიტალთან ოპერაციების ანგარიშის ლიბერალიზაცია, პორტფელური ინ-

ვესტიციების დიდი ნაკადით შემოდინება, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე, ეკონომიკის მონეტიზაციის მაღალი დონე, ლიკვიდობის არასაკმარისი დონე, შემოსავლებისა და მომსახურების დონის ვარდნა, დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრების კონიუქტურაზე და მსოფლიო ფინანსური კრიზისი.

**12.** საქართველოს საბანკო სექტორის მდგრადობის გრძელვადიან პერსპექტივებს წარმოადგენს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობა, ეკონომიკის დაკრედიტების პოტენციალის გაფართოება, ბანკების გამსხვილებისა და კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელება, ბანკების კაპიტალიზაციის ამაღლება, საბანკო რისკების გონივრული მართვა, მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით საბანკო სექტორის „მდგრადობის ხარისხისა“ და დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება.

**13.** კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასების უცხოური გამოცდილების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზების საფუძველზე არგუმენტირებულია დებულება იმის შესახებ, რომ ფინანსური მდგრადობის შეფასების სისტემა უცხო ქვეყნის საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცდილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რამაც ცხადყო მისი ეფექტურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული სისტემის ელემენტების საქართველოში დანერგვა, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასებისადმი მიდგომების დახვეწასა და განვითარებას.

**14.** კვლევამ აჩვენა, რომ კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კაპიტალის ადეკვატურობა. შესაბამისად, კაპიტალი როგორც საკუთარი საფინანსო რესურსი, განსაზღვრავს ბანკების უნარს დაკრედიტებაზე და რისკების ნეიტრალიზაციაზე, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული ნდობისა ფაქტორზე მეანაბრეებისა და კრედიტორების მხრიდან, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით.



15. საბანკო სისტემაში კაპიტალის ადეკვატურობის განხილვისას, რისკი წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან ცნებას და საჭიროებს ზუსტ განმარტებასა და ახსნას. რისკების ზუსტად განსაზღვრის შემდეგ, კომერციულმა ბანკმა თანამიმდევრობით უნდა განახორციელონ მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. რისკების შეფასების მთავარი მიზანია ბანკმა შეძლოს საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების განგარიშება, რათა განისაზღვროს რისკების გავლენა ბანკის კაპიტალზე, რომელიც ამ ბიზნეს საქმიანობის ხელშესაწყობად უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამის პარალელურად ბანკის მიერ რისკების მონიტორინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ბანკის მიერ რისკების შეფასება, განსაკუთრებით ნებისმიერი ისეთი რისკის, რომელიც მნიშვნელოვანია და/ან შეუძლია გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალზე.

16. ბანკის კრაზი ზიანის მომტანია სხვა თვალსაზრისითაც. ბანკები მნიშვნელოვან მომსახურებას უწევენ კლიენტებს, რამდენადაც მათთვის საგადამხდელო ოპერაციებს ახორციელებენ. ასეთი ტიპის კომერციული მომსახურება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქალაქისა თუ რეგიონისათვის. როდესაც ბანკის ლიკვიდაცია ან გაყიდვა ხდება, მომსახურება წყდება, რაც შესაძლოა ზიანს აყენებდეს ადგილობრივ ეკონომიკას. ბანკის წარუმატებლობამ ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური დაღმავლობა, რაც მკვეთრად შეამცირებს კომპანიების და კერძო პირების ლიკვიდობას. ამგვარად, მთავრობა დაინტერესებულია ბანკის კრაზის აღკვეთით, მაშინაც კი თუ იგი არ არის ბანკის ვალდებულების უშუალო გარანტორი. კრაზისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა ბანკის აღჭურვა ჭარბი კაპიტალით.

17. კომერციული ბანკის აქტივების მართვისას უნდა გავითვალისწინოთ ბანკის ბალანსის სტრუქტურის რეგულირების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მენეჯმენტის მიერ დასახული ამოცანების მიღწევას ფინანსური ბაზრის სხვადასხვა პირობებში, ლიკვიდურობის განაკვეთების პროცენტის, ვადამდელი აქტივებისა და კომერციული ბანკების ვალდებულებების დაფარვის დონეს, რისკის დადგენილი შეზღუდ-

ვების ფარგლებში. ამ აქტივების მართვით წინასწარ განისაზღვრება ობიექტის მართვა - კომერციული ბანკების ბალანსების სტრუქტურით.

**18.** საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბანკების რესურსების სტრუქტურის ძირითად თავისებურებას შეადგენს საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობა, მისი ხვედრითი წილი აქტივებში, მოკლევადიანი პასივების სიჭარბე, რომელიც ზღუდავს გრძელვადიანი ინვესტიციების/დაბანდებების შესაძლებლობას. აღსანიშნავია სწრაფი დეპოზიტების დაბალი წილი პასივებში და საწარმოების და ორგანიზაციების ნაშთების მაღალი წილი, აქტივების და პასივების სტრუქტურების დაუმთხვევლობა, და ასევე აქტივების ლიკვიდობის პრობლემის სიმწვავე.

**19.** ფინანსური მდგრადობის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური რყევები, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ექსპანსიებს და შოკებს იწვევს. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით მკვლევარების უმეტესობა ორიენტირებულნი არიან დიდი დრო დაუთმონ მაკროეკონომიკური შოკების გავლენის კვლევებს საბანკო სექტორში. თემა აქტუალურია დღეს, რადგან კრიზისის დროს ბანკები და მათი სტაბილურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და რა დანაკარგებით გადალახავს ქვეყანა მაკროეკონომიკური შოკებს. სწორედ საბანკო სექტორი ახორციელებს ფინანსური ნაკადების განკარგვას, უზრუნველყოფს ეკონომიკის რეალური სექტორის ლიკვიდურობის, რომელიც განიცდის ფულადი სახსრების დეფიციტს კრიზისის დროს.

**20.** კვლევამ ცხადყო, რომ ისეთი საშუალებები, რომლებიც აუცილებელი და შესაძლებელია კომერციული ბანკების საქმიანობაში განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით, შეიძლება დაიყოს შემდეგი სახეებად: უწყვეტი მონიტორინგი ფინანსურ მდგრადობასა და მისი უზრუნველყოფის სუსტი და ძლერი მხარეების შეფასება; ბანკის გავლით ფულადი ნაკადების ანალიზი; პერიოდული თვითტესტირება სტრესული სიტუაციების შემთხვევებისთვის; შიდა სტანდარტებისა და

ოპერაციების ლიმიტების შემუშავება და კონტროლი. ბანკის განვითარებისა და რეორგანიზაციის პროგრამის მომზადება საკუთარი ინიციატივით ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში; მიდგომების შემუშავება და განვითარება რთული და პრობლემატური სიტუაციების შემთხვევებისათვის.

**21.** ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დღემდე საბანკო სექტორში ფინანსური მდგრადობის რეგულირების ფორმები და მეთოდები ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში საკმაოდ წინააღმდეგობრივია. საბანკო სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე პოსტკრიზისულ გარემოში: ერთი მხრივ, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის საჭიროება, ხოლო მეორე მხრივ, არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა, ერთობლივად წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე რთულ თეორიულ და პრაქტიკულ კითხვებს ეროვნულ ეკონომიკაში.

**22.** ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ ბანკის ფინანსურ მდგრადობას მომავალში აქვს ორი მიმართულება: მონიტორინგი თვით ბანკის მიერ და კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. ამ ორ მიმართულებას აქვს ძირეულად განსხვავებული კონტროლის მეთოდები. შიდა კონტროლი უნდა ეფუძნებოდეს რისკ-მენეჯმენტს და რეზერვების შექმნას, ხოლო გარე კონტროლი - ნორმატივების დაცვასა და სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებს.

## ნაშრომის აპრობაცია

### სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება - 2013“, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 წლის 16 ნოემბერი.

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სეუ - 2015“, თბილისი: საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, 2013 წლის 26-27 ივნისი.

3. მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციაზე „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“, გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2014 წლის 14-15 ნოემბერი.

**დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:**

1. ფინანსური მდგრადობის კრიტერიუმები და ინდიკატორები საბანკო დაწესებულებებში. (14.02.2015);

2. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასება (04.07.2015);

3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (13.02.2016).

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:**

1. სოციალური პოლიტიკის სტრატეგია და პრიორიტეტები თანამედროვე საქართველოში. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2013, № 6, გვ. 215-226.

2. შრომითი მიგრაციისა და ფულადი გადარიცხვების თავისებურებანი საქართველოში. - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“. - 2015, N2 (2), გვ 129-133.

3. კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობის მართვის სრულყოფის თავისებურებანი საქართველოში - გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“ – მასალები, 2015, გვ. 260-264

4. კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდები. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2016, №1, გვ. 148-154.

5. ფინანსური მდგრადობის შეფასების კრიტერიუმი და მაჩვენებლები კომერციულ ბანკებში. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი

სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2016, №1, გვ. 155-165.

6. ანალიტიკური ინსტრუმენტების სისტემური ანალიზი - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“. - 2016, №1, გვ. 166-165.

## ABSTRACT

The basic text consists of the introduction, literature overview, the results of the discussions and a conclusion. This thesis is devoted to examining and analysing the characteristics of managing financial stability of commercial banks in Georgia. It consists of 169 and in accordance with the guidelines includes a title page, signatures, copyrights, summary, content, list of tables and drawings, main content and bibliography. The main content itself consists of an introduction, bibliography.

**Introduction** states the general topic and give some background, provides a review of the literature related to the topic, defines the terms and scope of the topic, outlines the current situation, identifies the importance of the proposed research, states the research problem, its aims and objectives; It outlines the structure, volume, approbation and publication.

**Literature overview** answers the question of where the topic of the thesis is coming from, why it is a real problem, what we know about it, which existing solutions are out there and which of them are used in this paper.

**Results and their evaluation** are presented with 3 chapters (9 paragraphs).

The first chapter analyses the theoretical-methodical principles of managing financial stability of the commercial banking sector. It states that the financial stability of the commercial banks, in the first place, is their financial firmness in a long-term, specifically, the state of their financial resources – when a commercial bank by effectively allocating its own financial funds can self-support continuous economic activity.

The financial stability of a commercial bank is a very complex indicator, which describes the reliability of a particular bank against external factors. It includes the following measurements of a bank (element of a financial sector) : capital structure and its sufficiency to cover the risks, level of balance liquidity, structure and quality of assets, risk management policy (projected risks structure, managerial decision making process), quality control of risk management organization.

Ensuring the banking system's reliability and sustainability means protecting the rights of the bank proprietors, bank clients and depositors, as well as protecting the interests of the entire society and stabilising and strengthening the banking sector.

This chapter also deals with the indicators of evaluating financial sustainability of commercial banks: criteria and measurements. It's a proven fact that financial stability of credit services organisations is one component of the overall stability, contributing to the whole system. Taking this into account, credit services organisation's ability to achieve quality condition depends on analysing the external and internal factors, as well as the influence of subsequent indicators. No matter of an executed evaluation, the above mentioned factors, in the first place, needs to be considered from the macro-economic angle.

Thus, the primary issues of the banking system, as well as of the individual credit organisations, are identified in a timely manner and based on above mentioned indicators and factors, will contribute to the sustainable development of the banking system. At the same time, according to the author, selected indicators and criteria of evaluation need to change based on economic and infrastructural environment and its stability, non-stability, pre-crisis and crisis conditions.

It also discusses the factors affecting the management of the bank's financial stability and what are their peculiarities in Georgia – financial stability of a commercial bank is a summary indicator of its performance. The size of this parameter is not constant, because of the ever-changing nature of the influencing factors. The formation or quality management of the indicators defining bank's financial performance and stability largely depend on a number of factors, which are closely related to each other and have a significant impact on the Bank's financial stability.

It's assumed that the financial stability of the banking sector highly depends on a level of economic development, how mature the market is, cash flow conditions, division of labour, development directions of industrial and consumer requirements. Each of these factors has its own level of variability, mobility and impact on the credit institution's current changes, which in varying degrees affect the bank's activities.

Examining the defining conditions and factors of the commercial banking sector's sustainability and stability considering the experience of international and well-developed markets and the current country's economic characteristics let us conclude: in a market economy, the banking system's stability and reliability must be considered in dynamics, not individually but, all together. This will provide a more complete and quality picture of the financial stability of the banking system of the country.

**The second chapter** discusses the organisational fundamentals of managing the financial stability of a bank, where the international expertise and experience of assessing the financial stability of a commercial banking sector is also presented. The main approach is to study the standard indicators and defined limits of the foreign experience, including the method defined by the Basel Committee of the Banking Supervision. The above indicators have a long experience of demonstrating their effectiveness in the objective assessment of financial institutions.

In practice, foreign supervisory authorities for assessing the bank's financial stability has a special public importance, as it is the responsibility of the state (in a form of a supervisory body) towards the society and to the banking system and for the public confidence in the banking system. Therefore, being objective and reliable has a paramount importance, this includes evaluation tools and methodology for continuous improvement in line with the changes caused by various environmental conditions, in which the commercial banks are operating - methods for increasing the complexity of the banking sector, expanding the range of operations and services.

This chapter also discusses the approaches for bank's own capital/equity adequacy assessment. It is noted that in recent years the concept formation of

capital adequacy when assessing the sustainability of a bank has become one of the most serious problems. Because of the large size/capacity of a bank's equity, close attention is paid to it, as it has a function/role in a daily bank's activity, as well as guaranteeing its long term operation.

In national and foreign economic literature under the bank's own equity functions are divided into three main functions: protective, operational, regulatory. In addition to the above-mentioned functions, also emphasize a number of interpretations: revenue, operational-production, image.

Almost all normative calculations of the banking activities is built on and carried out based on the equity value basis. Thus, the functions and activities, which the own equity has for controlling the banking activities, let to the necessity of defining and determining the amount of capital, which will be recognized and confirmed as an indicator of the bank's stability and sustainability, and the sustainability criteria will be recognized internationally.

It also examines the banks' asset management and structural analysis - active operations of the commercial banks are allocating own and attracted funds in order to maximise the income. It is a difficult and complex process to manage the assets of commercial bank. The main task is to reveal the maximum profitability, while maintaining the liquidity and risk level at an acceptable norm. Solution of this problem can only be an advisable asset structure, rationality, diversification, risk, profitability, liquidity analysis and based on intended actions of dedicated structures of assets.

**The third section** identifies the main directions of improving the management of the commercial bank's financial stability, optimisation of the structure of bank's resource base. In this process of formation the long-term goals need to be defined, as well as finding the ways to achieve them, develop a strategy and tactics, all these to provide a bank with new resources.

From the author's perspective, the new goals form an environment for defining a new strategy, but tactics determine the methods and techniques how to tackle a specific situation with the best decision-making process.

It also highlights the need for the introduction of stress-testing instruments, as an effective instrument for the assessment of banking risks. The stress-testing method is used for evaluating potential losses in the banking system, because of a possible financial crisis, and it is a particularly important element of the risk management system.

The same chapter discusses the anti-crisis management analysis, as a factor strengthening the bank's financial stability. The anti-crisis management softens the banking risks and prevents the emergence of the financial crisis, which contributes to the successful development of the banking business and secures its long-term competitive advantage.